



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების,
სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების
აღჭურვის პროგრამების შესრულების 12 თვის ანგარიში

ქ. ბათუმი

10 იანვარი, 2012 წელი

2010 წლის 16 დეკემბერს დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ №60 უ.ს.რ.ს.), რომლის საფუძველზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2010 წლის 28 დეკემბერს №114 განკარგულებით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამები, საერთო თანხით - 2 252 200 ლარი, მათ შორის:

ა) ამბულატორიული დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 300 000 ლარი):

ა) მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 300 000 ლარი;

ბ) სტაციონარული დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 1 200 000 ლარი):

ბ.ა) რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 700 000 ლარი;

ბ.ბ) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი - 50 000 ლარი;

ბ.გ) დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 450 000 ლარი;

გ) სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა:

გ.ა.) სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 480 700 ლარი;

დ) ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

დ.ა.) ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი - 29 500 ლარი;

ე) სოციალური დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 144 000 ლარი):

ე.ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი - 42 500 ლარი;

ე.ბ) თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი კომპონენტი - 101 500 ლარი.

ვ) სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა:

ვ.ა) სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შემენის კომპონენტი - 98 000 ლარი.

განკარგულებით განსაზღვრულია მიზნობრივი პროგრამების ამოქმედება 2011 წლის 1 იანვრიდან.

ბიუჯეტის I ცვლილება

2011 წლის 24 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№121 უ.ს.რ.ს.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 05 ივლისის №59 განკარგულებებით სამინისტროს ზოგიერთ მიზნობრივ პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება გაიზარდა (შემცირდა – 91 757 ლარით, გაიზარდა – 350 000 ლარით) 258 243 ლარით, კერძოდ:

ბიუჯეტის შემცირება

1. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კოპონენტი _ 44 442 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცდა 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებულია ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (ორგანიზაციული კოდი 35 12 02 17, დანართი №17).

ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა ვრცელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებზე. პროგრამა ხორციელდებოდა თანაგადახდის პრინციპით, მოზრდილებში იფარებოდა მომსახურების ფაქტიური ხარჯის 70%-ი, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენდა 30%-ს, 18 წლამდე ასაკის ბავშვებში თანაგადახდის მოცულობა შეადგენდა 20%-ს.

პროგრამის მე-6 მუხლის შესაბამისად „პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს 2011 წლის 1 აპრილამდე“. არსებული ინფორმაციით ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განახორციელებდა შპს „ჯანმრთელობის ცენტრი - მედინა“ და შპს „შუახევის რაიონული საავადმყოფო“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №114 განკარგულებით დამტკიცებულ ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტს ახორციელებდა შ.პ.ს. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი“ და შ.პ.ს. „შუახევის რაიონული საავადმყოფო“. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი მოიცავდა, როგორც ონკოინკურაბელურ ასევე ინკურაბელურ სომატურ პაციენტთათვის სტაციონარულ მზრუნველობას. გასული წლების სტატისტიკური მონაცემებით კომპონენტის ფარგლებში მომსახურება ძირითადად მიიღო ონკოინკურაბელურმა პაციენტებმა, რომელთა მომსახურება 2011 წლის აპრილიდან განხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამით.

სოციალურად დაუცველი ინკურაბელური სომატური პაციენტის მკურნალობა შესაძლებელი იყო დაფინანსებულიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №114 განკარგულებით დამტკიცებული მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებდა „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტის“ შეწყვეტას.

ფაქტიურმა ხარჯმა ამ პერიოდისათვის შეადგინა 5 558 ლარი, შესაბამისად წარმოიშვა ეკონომია 44 442 ლარის ოდენობით.

2. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი _ 35 215 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებს თემის სამედიცინო პუნქტების მედდების შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას და ასევე პუნქტების უზრუნველყოფას პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკური საშუალებებით.

28 880 ლარის ეკონომია წარმოიქმნა კომპონენტით გათვალისწინებული მედიკამენტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შეძენისას, 6 065 ლარის ეკონომია – კომუნალური ხარჯების დაფინანსების დროს, 270 ლარის ეკონომიის წარმოქმნა კი განაპირობა შუახვევის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემის პუნქტში მედლის შტატის 2 თვით ვაკანსიამ.

კომუნალურ ხარჯებში ეკონომიის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თემის სამედიცინო პუნქტების გარკვეული ნაწილის აბონენტად აღრიცხვის პროცესი იმ პერიოდისათვის არ იყო დასრულებული.

3. 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 9 500 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით და იგი 2010 წლის დასასრულს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გათვლილი იყო 85 უხუცესზე.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ინფორმაციით 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა რაოდენობა შემცირდა, ძირითადად იმ პირების გარდაცვალების გამო რომელთაც 100 წელი შეუსრელდებოდათ 2011 წელს, რამაც წარმოქმნა 9 500 ლარის ეკონომია.

4. სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენის კომპონენტი – 2 600 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა ორი სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენას, რაც განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერით, რის შედეგადაც წარმოიქმნა 2 600 ლარის ეკონომია.

ბიუჯეტის ზრდა

5. „რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 350 000 ლარი.

„რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის” 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 700 000 ლარით და იგი გათვლილი იყო 12 თვეზე. 4 თვის მდგომარეობით კარდიოქირურგიული მკურნალობის დაფინანსების თაობაზე სამინისტროში შემოსული იყო სულ 110 მოქალაქის განცხადება, საიდანაც 63 პაციენტს უკვე ჩაუტარდა მკურნალობა კომპონენტის ფარგლებში, 38 პაციენტის მკურნალობა მიმდინარეობდა, 7 პაციენტის მკურნალობა

სხვადახვა მიზეზებით დროებით გადაიდო, ხოლო დარჩენილი 2 მოქალაქის განცხადება კი განხილვის სტადიაში იყო. ნამკურნალებ და სტაციონარში მყოფ პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ჯამში 377 887 ლარს შეადგენდა, რაც კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტის 50 %-ს აჭარბებდა.

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია პაციენტთა მომართვიანობა – 2007 წელს კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 118 პაციენტი, 2008 წელს – 145 პაციენტი, 2009 წელს – 120 პაციენტი, 2010 წელს - 187 პაციენტი, ხოლო მიმდინარე წლის 4 თვეში კი შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენს 110 და მისი რაოდენობა წლის ბოლომდე გაიზრდება.

მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობის დასაკმაყოფილებლად და კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებისათვის კომპონენტის ბიუჯეტი გაიზარდა 350 000 ლარით.

ბიუჯეტის II ცვლილება

2011 წლის 15 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№147 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტის ღირებულება შემცირდა (შემცირდა - 154 150 ლარით, გაიზარდა - 50 000 ლარით) 104 150 ლარით, კერძოდ:

ბიუჯეტის შემცირება

1. დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი – 65 000 ლარი.

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 450 000 ლარს და იგი ითვალისწინებდა 3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების და 15 წლის ზევით 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის ურგენტული სტაციონარული მკურნალობის თანხების თანადაფინანსებას.

10 თვის მონაცემებით კომპონენტში ჩართულ პაციენტებზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება შეადგენდა 320 675 ლარს, საიდანაც 264 238 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება უკვე დაფინანსებული იყო, ხოლო დარჩენილი 56 437 ლარის სამედიცინო მომსახურება – შესრულების პროცესში.

ასათვისებელი თანხის მოცულობა შეადგენდა 129 325 ლარს. გასული პერიოდის დინამიკის გათვალისწინებით საშუალოდ კომპონენტით პაციენტებზე ყოველთვიურად გაწეული იყო 32 700 ლარის ხარჯი, შესაბამისად წლის ბოლომდე საჭირო იქნებოდა 64 325 ლარი.

აქედან გამომდინარე კომპონენტის ფარგლებში სავარაუდო ეკონომია შეადგენდა 65 000 ლარს, რაც საჭიროებდა შემცირებას.

2. „რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების

კომპონენტი - 80 000 ლარი.

„რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის” 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 050 000 ლარით და იგი გათვლილი იყო 12 თვეზე. 10 თვის მდგომარეობით კარდიოქირურგიული მკურნალობის დაფინანსების თაობაზე სამინისტროში შემოსული იყო სულ 279 მოქალაქის განცხადება, საიდანაც 221 პაციენტს უკვე ჩაუტარდა მკურნალობა, 58 პაციენტის მკურნალობა მიმდინარეობდა. ნამკურნალებ და ამჟამად სტაციონარში მყოფ პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ჯამში შეადგენდა 854 956 ლარს. წლის ბოლომდე ასათვისებელი რჩებოდა 195 043 ლარი, რისი ათვისებაც არსებული მომართვიანობით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

10 თვის დინამიკის გათვალისწინებით წლის ბოლომდე სავარაუდოდ გაიხარჯებოდა 115 043 ლარი, შესაბამისად წარმოიქმნებოდა ეკონომია 80 000 ლარის ოდენობით, რაც საჭიროებდა შემცირებას.

3.3. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი _ 9 150 ლარი .

კომპონენტი ივალისწინებდა 178 თემის სამედიცინო პუნქტების კომუნალური (ელექტროენერგიის) ხარჯების დაფარვას, პუნქტებში დასაქმებული მედლების შრომის ანაზღაურებას და ასევე პუნქტების უზრუნველყოფას პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკური საშუალებებით.

თემის სამედიცინო პუნქტების გარკვეული ნაწილის აბონენტად აღრიცხვის პროცესი არ იყო დასრულებული, რის გამოც წლის ბოლომდე მოსალოდნელი იყო 9 150 ლარი ეკონომია კომუნალური ხარჯებში, რაც ექვემდებარება შემცირებას.

II ბიუჯეტის ზრდა

4. მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი _50 000 ლარი.

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს.

კომპონენტით გათვალისწინებული იყო განსაკუთრებულ შემთხვევებში (სტიქის შედეგად კატასტროფებით, ჯგუფური დაავადებებით, ეპიდემიებით გამოწვეული დაავადებების და დაზიანებების, აუცილებლად საჭირო მკურნალობის ფინანსური ხელმიუწვდომლობის დროს) მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ორგანიზაცია და დაფინანსება, მიზნად ისახავდა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას, გართულებების თავიდან აცილებას, შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირებას.

მიმდინარე წლის 10 თვეში კომპონენტით ისარგებლა 218-მა პაციენტმა, საიდანაც 164 პაციენტს უკვე ჩაუტარდა მკურნალობა, ხოლო 51 პაციენტის მკურნალობა მიმდინარეობდა. ნამკურნალებ და სტაციონარში მყოფ პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ჯამში შეადგენდა 299 055 ლარს.

გამომდინარე იქედან, რომ დღეისათვის კომპონენტის ბიუჯეტი ამოწურული იყო, ხოლო პაციენტთა მომართვიანობა გრძელდებოდა, პროგრამის ბიუჯეტი საჭიროებდა გაზრდას 50 000 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება განისაზღვრა 2 424 968 ლარის ოდენობით.


ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამები

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	2,195,068
	ამბულატორიული დახმარების პროგრამა	350,000
110313	მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი	350,000
	სტაციონარული დახმარების პროგრამა	1,380,558
110322	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	990,000
110323	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი	5,558
110324	დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	385,000
	ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	28,175
110342	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი	28,175
	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა	436,335
110331	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	436,335
2	სოციალური დაცვის პროგრამები	134,500
	სოციალური დახმარების პროგრამა	134,500
110411	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	33,000
110414	თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	101,500
3	სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა	95,400
110331	სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენის კომპონენტი	95,400
	სულ ჯამი	2,424,968

2011 წლის 12 თვეში მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2 424 968 ლარს, შესრულებულია 2 383 341 ლარის სამუშაო, საკასო ხარჯმა შეადგინა 2 383 341 ლარი, გადახრა შეადგენს 41 627 ლარს. (იხ. ცხრილი).

დასახელება	დამტკიცებული გეგმა დამტკიცებული გეგმა	შესრულება	საკასო ხარჯი	გადახრა (გეგმა- დაფინანსება)
<i>მიზნობრივი პროგრამები</i>	2,424,968	2,383,341	2,383,341	41,627
ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	2,195,068	2,153,441	2,153,441	41,627
სოციალური დაცვის პროგრამები	134,500	134,500	134,500	0
სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა	95,400	95,400	95,400	0

1. ჯანმრთელობის დაცვის, ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები



1. ამბულატორიული დახმარების პროგრამა

1.1 მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი (350 000 ლარი).

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს პროგრამის ბიუჯეტი 2011 წლის 15 დეკემბერს გაიზარდა 50 000 ლარით და შეადგინა 350 000 ლარი.

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება განხორციელდა მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით. მოწვევა კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ 2011 წლის 11 იანვარს (№2). განცხადებით მონაწილეობისათვის მოგვმართა 31-მა იურიდიულმა პირმა, ოცდათერთმეტივესთან გაფორმდა ხელშეკრულებები.

კომპონენტით გათვალისწინებული იყო განსაკუთრებულ შემთხვევებში: სტიქის შედეგად კატასტროფებით, ჯგუფური დაავადებებით, ეპიდემიებით გამოწვეული დაავადებების და დაზიანებების, აუცილებლად საჭირო მკურნალობის ფინანსური ხელმიუწვდომლობის დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ორგანიზაცია და დაფინანსება, მიზნად ისახავს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას, გართულებების თავიდან აცილებას, შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირებას.

სულ გაცემული იყო 283 ვაუჩერი.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დახმარება გაეწია 263 პაციენტს, მათ შორის:


ონკოლოგიური დაავადებების დროს ქიმიოთერაპიის კურსი ჩაუტარდა - 116 პაციენტს, სხივური თერაპია - 34 პაციენტს;

სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდა 113 პაციენტს, მათ შორის კონსევატიული - 18-ს, ქირურგიული ოპერაციები - 95 პაციენტს.

დარჩენილი გაცემული 20 ვაუჩერის მფლობელს მკურნალობა არ ჩაუტარდა სხვადასხვა სამედიცინო და არასამედიცინო ჩვენებით.

№	დასახელება	წლიური გეგმა	12 თვე					
			გეგმა	შესრულ.	დაფინან.	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
1	სს "ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი"	350 000	350 000	36 514	36 514	17	1 264	99.6
2	შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"			38 203	38 203	24		
3	სს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"			1 875	1 875	1		
4	შპს "ქირონი"			3 000	3 000	1		
5	შპს "აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრი"			124 242	124 242	146		
6	შპს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"			0	0	0		
7	შპს "ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო"			2 520	2 520	1		
8	შპს "მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი"			2 430	2 430	2		
9	შ.პ.ს. ჯანმრთელობის ცენტრი "მედიანა"			32 317	32 317	21		
10	შ.პ.ს. "მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა"			16 560	16 560	7		
11	ს.ს. "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"			4 354	4 354	2		
12	შპს "ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა"			13 127	13 127	8		
13	შპს "კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"			4 578	4 578	2		
14	შ.პ.ს. "ივ. ჯავახიშვილის სახ.თსუ კლინიკა"			4 998	4 998	2		
15	შპს "მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო"			506	506	1		
16	სს "ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი"			5 930	5 930	3		
17	შპს "ქ. თბილისის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი"			4 373	4 373	2		
18	შპს "თერმულ დაზიანებათა და პლასტიკური ქირ. ცენტრი"			1 545	1 545	1		

19	შპს "ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური"			2 037	2 037	1		
20	შპს "ჰემა"			9 274	9 274	4		
21	სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ალ. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა"			6 000	6 000	2		
22	სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"			5 938	5 938	3		
23	შპს "მედულა – ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიის კლინიკა"			2 967	2 967	1		
24	შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"			4 800	4 800	3		
25	შპს "ჯანმრთელობის ცენტრი"			1 440	1 440	1		
26	შ.პ.ს. "ოქროს საწმისი - XXI საუკუნე"			3 173	3 173	1		
27	შ.პ.ს. "უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრი"			7 867	7 867	2		
28	შ.პ.ს. "ნეო მედი"			1 318	1 318	1		
29	შ.პ.ს. "ახალი მზერა"			852	852	1		
30	შპს "გიდმედი"			3 000	3 000	1		
31	შპს "იმერეთის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო"			3 000	3 000	1		
სულ		350,000	350,000	348,736	348,736	263	1,264	99.6



მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

№	ქალაქი, მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი (რაოდენობა)	ჩატარებული მკურნალობა (რაოდენობა)
1	ბათუმი	150	144
2	ქობულეთი	50	45
3	ხელვაჩაური	58	52
4	ქედა	8	8
5	შუახევი	13	10
6	ხულო	4	4
სულ		283	263

ინსპექტირების შედეგები

სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფი დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ახორციელებდა კომპონენტის შესრულების მიმდინარეობის ინსპექტირებას კომპონენტში მონაწილე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

ინსპექტირებით გამოვლინდა ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულებების მიერ როგორც სამინისტროზე, ასევე პაციენტებზე თანხების არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნის ფაქტები და გატარებული იქნა შემდეგი ღონიძირებები:

შპს „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი“

- გამოექვითა სამინისტროზე არაკორექტულად მოთხოვილი თანხა 2 722, 83 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაეკისრა 262, 1 ლარის პირგასამტეხლო;
- დაეკისრა ოთხ პაციენტზე ზედმეტად მოთხოვნილი თანხების (ჯამში - 147, 85 ლარი) დაბრუნება.

შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"

- გამოექვითა სამინისტროზე არაკორექტულად მოთხოვნილი თანხა 25,13 ლარის ოდენობით.

შპს „ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა"

- დაეკისრა პაციენტზე 145, 35 ლარის (ზედმეტად მოთხოვნილი თანხა) დბრუნება.

1.2 სტაციონარული დახმარებისპროგრამა

1.2.1 რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო

მომსახურების კომპონენტი (990 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 700 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ივნისის და დეკემბრის თვეში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 990 000 ლარამდე.

კომპონენტი ხორციელდება მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით.

განცხადება კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ - 2011 წლის 11 იანვარს (№2).

სამინისტროს წერილობით მიმართა და გაფორმდა ხელშეკრულებები კარდიოქირურგიულ სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე 7 სამედიცინო დაწესებულებასთან (გაფორმდა 33 ხელშეკრულება).

კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია გულის პათოლოგიებით დაავადებული მოზრდილი მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

კომპონენტის ბენეფიციარები არიან:

_ 50 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები.

_ 50 წლამდე ასაკის მოზრდილი მოსახლეობა შეზღუდული მოცულობით (გულის თანდაყოლილი მანკები, ანგიოპლასტიკა, შუნტირება).

კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება არ გავრცელდება იმ მოქალაქეებზე რომლებიც სარგებლობენ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით; ინდივიდუალური ან/და კორპორაციული სამედიცინო დაზღვევით.


სულ გაცემულია 335 ვაუჩერი.

საანგარიშო პერიოდში კარდიოქირურგიული სამედიცინო დახმარება გაეწია 313 პაციენტს (317 შემთხვევა), მათ შორის:

- იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა (კოდი 650001) - 91 პაციენტს;
- ერთი სარქვლის პროთეზირება (კოდი 650002) - 14-ს;
- ბიოლოგიური სარქველი (კოდი 650003) – 3-ს;
- ბენტალის ოპერაცია (კოდი 650004) – 2-ს;
- ორი სარქვლის/სარქველისა და აღმავალი აორტის პროთეზირება (კოდი 650005) - 4;
- ანგიოპლასტიკა 1 სტენტით (კოდი 650006) - 125-ს;
- ანგიოპლასტიკა 2 სტენტით (კოდი 650006.1) - 70 პაციენტს;
- ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით (კოდი 660001) – 3-ს;
- გულის თანდაყოლილი მანკების პირველადი დიაგნოსტიკა (კოდი 660003) – 1-ს;
- ამპლაცერი/პეისმეიკერი (კოდი 660004) – 4-ს;

დარჩენილი გაცემული 22 ვაუჩერის მფლობელიდან - 11-ის მკურნალობა გადაიდო, 10 პიროვნებას არ ჩაუტარდა მკურნალობა სხვადასხვა სამედიცინო და არასამედიცინო ჩვენებით, ხოლო 1 მოქალაქის მკურნალობის ხარჯები დაიფარა სადაზღვევო კომპანიის მიერ (სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერი გაუქმდა) .

№	დასახელება	12 თვე					
		გეგმა	შესრულ.	აფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
1	შპს "ღია გული"	990,000	223,847	223,847	32	6,716	99.32
2	შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"		28,626	28,626	9		
3	შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"		288,615	288,615	63		
4	კავშირი "ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"		42,235	42,235	10		
5	შპს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"		14,804	14,804	5		
6	შ.პ.ს. ჯანმრთელობის ცენტრი "მედინა"		383,358	383,358	192		
7	შპს "აღაპტი"		900	900	1		
7	შპს კარდიოლოგიური კლინიკა "გული"		900	900	1		
სულ		990,000	983,284	983,284	313	6,716	99.32



მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

№	ქალაქი, მუნიციპალიტეტი	ჩატარებული მკურნალობა (რაოდენობა)
1	ბათუმი	171
2	ქობულეთი	53
3	ხელვაჩაური	76
4	ქედა	7
5	შუახევი	4
6	ხულო	2
სულ		313

ინსპექტირების შედეგები

სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფი დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ახორციელებდა კომპონენტის შესრულების მიმდინარეობის ინსპექტირებას კომპონენტში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში.

ინსპექტირებით გამოვლინდა სამედიცინო დაწესებულებების მიერ როგორც სამინისტროზე, ასევე პაციენტებზე თანხების არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნის ფაქტები და გატარებული იქნა შემდეგი ღონიძირებები:

შპს ჯანმრთელობის ცენტრი "მედინა"

- გამოექვითა სამინისტროზე არაკორექტულად მოთხოვნილი თანხა 2 450 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაეკისრა 706,95 ლარის პირგასამტეხლო;
- დაეკისრა ორ პაციენტზე ზედმეტად მოთხოვნილი თანხების (ჯამში 310 ლარი) დაბრუნება.

შპს "ღია გული"

- გამოექვითა სამინისტროზე არაკორექტულად მოთხოვნილი თანხა 236,6 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაეკისრა 101,1 ლარის პირგასამტეხლო.

შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"

- დაეკისრა პაციენტზე ზედმეტად მოთხოვნილი თანხის დაბრუნება 704 ლარის ოდენობით.

შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"

- დაეკისრა პაციენტზე არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის დაბრუნება 300 ლარის ოდენობით.

შპს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"

- დაეკისრა სამინისტროზე არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის (900 ლარი) ბიუჯეტში დაბრუნება.

1.2.2 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი (5 558 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცდა 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა. აღნიშნულთან დაკავშირებით აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 3 მაისის №38 განკარგულებით კომპონენტის მოქმედება შეწყდა, რაც აისახა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ივნისის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს (პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 44 442 ლარით და შეადგინა 5 558 ლარი).

კომპონენტი ხორციელდებოდა მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით.


სამინისტროს წერილობით მიმართა და გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე:

10 იანვარს შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრთან“;

21 თებერვალს - შპს "შუახევის რაიონული საავადმყოფოსთან".

კომპონენტით გათვალისწინებულია ინკურაბელური პაციენტების სტაციონარული მკურნალობა, მათი სამედიცინო საჭიროებების დროული და სრული შეფასება, სპეციალისტების კონსულტაციითა და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში პალიატიული სამედიცინო დახმარება სტაციონარში გაეწია 13 პაციენტს. მათ შორის სიმპტომური მკურნალობა 11-ს, პალიატიური მცირე ქირურგიული ოპერაციული მკურნალობა 2-ს.



1.2.3 დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (285 000ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 450 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს პროგრამის ბიუჯეტი 2011 წლის 15 დეკემბერს შემცირდა 65 000 ლარით და შეადგინა 285 000 ლარი.

კომპონენტი ხორციელდება მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით.

მოწვევა კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ 2011 წლის 11 იანვარს (№2). განცხადებით მონაწილეობისათვის მოგვმართა 27-მა იურიდიულმა პირმა, ყველასთან გაფორმდა ხელშეკრულებები.

კომპონენტი ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 3-15 წლის ასაკის ბავშვების და 15 წლის ზევით 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის ურგენტული სამედიცინო დახმარების მიწოდებას

ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში 722 პაციენტს (745 შემთხვევა) გაეწია ურგენტული სამედიცინო დახმარება, მათ შორის 487 3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვს.

№		პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის ფასი	შემთხვევათა რაოდენობა	სულ ღონისძიების ხარჯი (ბიუჯეტიდან დაფინანსებული)	ხარჯის წილი მომდინარე ხარჯებთან (%)
სოციალური უზრუნველყოფა				745	353,215.04	
ა)	3-15 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მომსახურება			500	179,215.79	
1		ალერგოლოგია				
1.1		ასთმა				
J45	A001	ასთმა (გამწვავების პერიოდი)	285	6	1,140.00	0.32

1.3		სხვა ალერგიული დაავადებები/მდგომარეობები				
L50	A006	ურტიკარია	101	4	323.20	0.09
2		გასტროენტეროლოგია				
R10.1	A011	მუცლის ზემო ნაწილში ლოკალიზებული ტკივილი (ეპიგასტრული ტკივილი)	196	6	940.80	0.27
R10.4	A013	სხვა და დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში	196	1	156.80	0.04
4		ენდოკრინოლოგია				
E10	A023	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი (ახლადგამოვლენილი)	264	1	211.20	0.06
5		ინფექციური დაავადებები				
5.1		ნეიროინფექცია				
G00	A034	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	642	1	256.80	0.07
5.2		სხვა ინფექციური დაავადებები				
A09	A048	სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა და გასტროენტერიტი	205	13	2,050.00	0.58
6.2		სხვა კარდიორევმატიული ავადმყოფობები				
M13.0	A058	პოლიართრიტი, დაუზუსტებელი	223	3	535.20	0.15
I01	A060	რევმატული ცხელება გულის დაზიანებით	223	1	178.40	0.05
7.2		სხეულის სხვა მიდამოს დამწვრობა				
T29.0	A068	მრავალი მიდამოს დამწვრობა დაუზუსტებელი ხარისხის (გართულებული შოკით)	1800	1	720.00	0.20
T24.3	A069	ბარძაყის და ქვ. კიდურის მესამე ხარისხის დამწვრობა, კოჭის და ტერფის გარდა	1800	1	1,440.00	0.41
8		კრიტიკული მდგომარეობები				
G41	A096	ეპილეფსიური სტატუსი	1137	1	1,137.00	0.32
G92	A097	ტოქსიური ენცეფალოპათია	1137	1	1,137.00	0.32
I50	A099	გულის უკმარისობა	1137	1	1,137.00	0.32
I61	A100	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	1137	2	2,274.00	0.64
ჟ46	A102	ასთმური სტატუსი	1137	4	4,548.00	1.29
ჟ96.0	A103	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	1137	2	2,274.00	0.64
R56.8	A106	სხვა და დაუზუსტებელი კრუნჩხვები	1137	17	19,329.00	5.47
R57.8	A108	სხვა შოკი [ენდოტოქსიური შოკი]	1137	3	5,685.00	1.61
R57.9	A109	შოკი, დაუზუსტებელი	1137	1	1,137.00	0.32

S06	A110	ინტრაკრანიალური დაზიანება	1137	1	1,137.00	0.32
T79.4	A114	ტრავმული შოკი	1137	4	4,548.00	1.29
9		ნევროლოგია				
9.1		ენცეფალიტი, მიელიტი, ენცეფალომიელიტი, გიენ-ბარეს სინდრომი				
G04	A115	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	679	1	480.30	0.14
G61.0	A116	გიენ - ბარეს სინდრომი	679	1	543.20	0.15
9.4		ნერვული სისტემის სხვა ავადმყოფობები				
G40.3	A129	გენერალიზებული იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები	235	7	1,316.00	0.37
G40.4	A130	სხვა გენერალიზირებული ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები	235	2	376.00	0.11
G40.6	A131	გულყრები გრანდ მალ, დაუზუსტებელი (პეტიტ მალ-ით ან მის გარეშე)	235	1	188.00	0.05
G80	A139	ბავშვთა ცერებრული დამბლა	235	4	752.00	0.21
G92	A142	ტოქსიური ენცეფალოპათია	235	1	188.00	0.05
G93.2	A143	კეთილთვისებიანი ქალასშიდა ჰიპერტენზია	235	2	376.00	0.11
10		ნეიროქირურგია				
10.1		ზედაპირული დაზიანება და თავის ტვინის შერყევა				
S06.0	A160	თავის ტვინის შერყევა	203	12	1,867.60	0.53
10.2		ნეიროქირურგია ინტენსიური თერაპიით				
S02.0	A177	ქალასარქველის მოტეხილობა	1506	1	602.40	0.17
S02.1	A178	ქალას ფუძის მოტეხილობა	1506	1	1,204.80	0.34
S02.7	A179	ქალას და სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა	1506	1	1,204.80	0.34
S06.3	A182	თავის ტვინის ფოკალური დაზიანება	1506	1	602.40	0.17
S06.7	A186	ქალასშიდა დაზიანება გახანგრძლივებული კომით	1506	1	602.40	0.17
10.3		ნეიროქირურგია ინტენსიური თერაპიის გარეშე				
S14	A202	ზურგის ტვინის და ნერვების დაზიანება კისრის დონეზე	612	1	357.00	0.10
11		ნეფროლოგია				
11.1		საშარდე სისტემის ქრონიკული დაავადებები				

N04	A212	ნეფროზული სინდრომი (ლიპოიდური ნეფროზი)	320	1	256.00	0.07
11.2		საშარდე სისტემის მწვავე დაავადებები				
N00	A214	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	252	2	403.20	0.11
N39.0	A217	საშარდე გზების ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის (ცხელებით/ცხელების გარეშე)	252	10	2,016.00	0.57
12		ოტოლარინგოლოგია				
12.1		IV სირთულის ოპერაციები				
H66.4	A221	შუა ყურის მწვავე ანთება (გართულებული მასტოიდიტით)	750	2	1,200.00	0.34
13.2		II-III სირთულის ოპერაციები				
Q12.0	A256	თანდაყოლილი კატარაქტა	316	1	252.80	0.07
14		სასუნთქი სისტემის დაავადებები				
14.1		მკურნალობა ინტენსიური თერაპიით				
I05.0	A264	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] (III-IV ხარისხი)	697	1	347.89	0.10
J12	A267	ვირუსული პნევმონია, რომელიც არაა კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	697	3	1,672.80	0.47
J15.9	A268	ბაქტერიული პნევმონია, დაუზუსტებელი	697	1	557.60	0.16
J18	A269	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	697	9	5,018.40	1.42
14.2		მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე				
J11.0	A271	გრიპი პნევმონიით, ვირუსი არაა იდენტიფიცირებული	190	2	304.00	0.09
J02	A272	მწვავე ფარინგიტი	190	2	304.00	0.09
J03	A273	მწვავე ტონზილიტი	190	3	456.00	0.13
J05.0	A275	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] '(I - II ხარისხი)	190	11	1,672.00	0.47
J06	A276	ზედა სასუნთქი გზების მრავლობითი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის მწვავე ინფექციები	190	35	5,244.00	1.48
J11.0	A278	გრიპი პნევმონიით, ვირუსი არაა იდენტიფიცირებული	190	1	152.00	0.04
J11.1	A279	გრიპი სხვა რესპირატ.გამოვლინებებით, ვირუსი არაა იდენტ. (გრიპული ლარინგიტი)	190	2	304.00	0.09
J11.8	A280	გრიპი სხვა გამოვლინებებით, ვირუსი არაა იდენტიფიცირებული [გრიპით გამოწვეული ენცეფალოპათია]	190	1	76.00	0.02
J12	A281	ვირუსული პნევმონია, რომელიც არაა კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	190	11	1,672.00	0.47

J15.9	A282	ბაქტერიული პნევმონია, დაუზუსტებელი	190	1	152.00	0.04
J18	A283	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	190	20	3,040.00	0.86
J20	A284	მწვავე ბრონქიტი (ბრონქოსპაზმი)	190	80	12,160.00	3.44
16		ორთოპედია-ტრავმატოლოგია				
16.1		ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიით				
Q65.6	A324	არასტაბილური ბარძაყი	1076	2	1,721.60	0.49
Q66	A326	ტერფის თანდაყოლილი დეფორმაციები	1076	3	2,582.40	0.73
S42.2	A330	მხრის ძვლის ზედა ბოლოს მოტეხილობა	1076	1	860.80	0.24
S42.4	A332	მხრის ძვლის ქვედა ბოლოს მოტეხილობა	1076	3	2,582.40	0.73
16.2		ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე				
S52	A335	წინამხრის მოტეხილობა	448	2	716.80	0.20
S62	A336	მოტეხილობა მაჯის და მტევნის დონეზე (ღია)	448	2	716.80	0.20
S72	A337	ბარძაყის მოტეხილობა (ღია)	448	1	358.40	0.10
S82	A339	წვივის ძვლების მოტეხილობა, კოჭის ჩათვლით (ღია)	448	1	358.40	0.10
T14.1	A344	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ღია ჭრილობა	448	1	357.00	0.10
16.3		კონსერვატული მკურნალობა				
S22.0	A359	გულმკერდის მალის მოტეხილობა	418	1	334.40	0.09
S42.0	A363	ლავიწის მოტეხილობა	418	1	334.40	0.09
S42.3	A365	მხრის ძვლის სხეულის მოტეხილობა	418	1	334.40	0.09
S42.4	A366	მხრის ძვლის ქვედა ბოლოს მოტეხილობა	418	4	1,337.60	0.38
S52	A368	წინამხრის მოტეხილობა	418	4	1,337.60	0.38
S72	A371	ბარძაყის მოტეხილობა	418	6	1,839.20	0.52
S82	A373	წვივის ძვლების მოტეხილობა, კოჭის ჩათვლით	418	2	668.40	0.19
17		უროლოგია				
17.1		IV-V სირთულის ოპერაციები				
